



კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
საქართველო, ქ. თბილისი 0154, კედისა ქ. 7.
+995 (32)2356 609;
ciltbilisi@gmail.com
www.disability.ge

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და სექსუალობა: მოკლე მიმოხილვა

სტატიის ავტორი:
ანა ბოჭორიშვილი



"ეს პუბლიკაცია შექმნილია USAID-ისა და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს USAID-ისა და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შეხედულებებს."

25 მარტი 2021



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PFID PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და სექსუალობა: მოკლე მიმოხილვა

ანა ბოჭორიშვილი

დოქტორის ხარისხის კანდიდატი, გლაზგოს უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

აბსტრაქტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობა აკადემიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც დიდხანს იყო იგნორირებული. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს შეზღუდული შესაძლებლობის მკვლევრებმა ამ საკითხების შესახებ საუბარი დაიწყეს, ბევრი ასპექტი კვლავაც უხილავია. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის სექსუალური პოლიტიკის შესახებ მსჯელობა სექსუალობის გენდერულ განზომილებას ყურადღების მიღმა ტოვებს. ეს სტატია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ბარიერებს მიმოიხილავს და აქცენტს აღიარების (recognition) მნიშვნელობაზე აკეთებს.

საკვანძო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, გენდერი, სექსუალობა, ინტიმურობა, აღიარება (recognition).

შესავალი

აკადემიურ სივრცეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება, თუმცა არსებული ლიტერატურა მაინც არ არის საკმარისი იმ გამოწვევებისა და პრობლემების დასაჩინად, რომლებიც მათ სექსუალობის გამოხატვის დროს ან სქესობრივი ცხოვრების ხელმისაწვდომობის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

პროცესში ხვდებათ. აკადემიურ დებატებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი უყურადღებობას უამრავი მიზეზი აქვს. ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის კვლევები წლების მანძილზე ყურადღების მიღმა ტოვებდა გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს; მეორე მხრივ კი გენდერის კვლევები თითქმის არ ინტერესდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების გამოცდილებებით; განსაკუთრებით, ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა სექსუალობა, ინტიმური ცხოვრება, ძალადობა და სხვ. (Morris, 1999). სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი მკვლევრები იყვნენ პირველები, რომლებმაც, სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისას, ყურადღება გენდერის განზომილებას მიაქციეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ განზომილების გარეშე მათი კვლევები აზრს კარგავდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობის საკითხებში გასარკვევად, მომდევნო თავში აღწერილი იქნება სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ბარიერები. შემდეგ წინასწარგანწყობებისა და სტერეოტიპების შესახებ ვისაუბრებ. იქვე მიმოვიხილავ, თუ რა გავლენას ახდენს დარღვევა (impairment) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების თვითაქმასა და თვითშეფასებაზე. ბოლო ნაწილში მოკლედ ვისაუბრებ ამ პროცესში აღიარების (recognition) მნიშვნელობაზე, რაც ამ სტატიის მთავარი არგუმენტიცაა. მისი მიზანია იმ მრავალმხრივი სირთულეების აღიარება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს სქესობრივი ცხოვრების წარმართვაში უშლის ხელს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ სტატიაში მოყვანილი ნაშრომების უმრავლესობა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონების მიღმაც არსებობს მზარდი ინტერესი შეზღუდული შესაძლებლობის კვლევების მიმართ, სამწუხაროდ, გლობალური სამხრეთის ქვეყნებსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PFID PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

ასეთი კვლევები მაინც ცოტაა. ამ სტატიის მთავარი შეზღუდვაა ის, რომ მისი ფორმატისა და მოცულობის გამო, რთულია საკითხების სიღრმისეულად განხილვა. ასევე, ის ვერ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლბტქი+ ქალების გამოცდილებას, რადგან ამ კუთხით, აკადემიური ცოდნა თითქმის, არ არსებობს. როგორც სტატიის ავტორი, ვაცნობიერებ, რომ სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსია გაცილებით ღრმა და მრავალფეროვან ანალიზს მოითხოვს; ეს სტატია კი მხოლოდ მცდელობაა, საქართველოში მსგავსი დებატები დაიწყოს.

სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ბარიერები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსი და სექსუალობა ხშირად ისევ მხოლოდ სამედიცინო პერსპექტივიდან განიხილება. ეს პერსპექტივა ყურადღებას სექსუალურ ფუნქციაზე ამახვილებს და უგულებელყოფს სოციალურ განზომილებას (მაგ., თანასწორ ხელმისაწვდომობას სქესობრივ ცხოვრებაზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებებზე და ა.შ.) (Shuttleworth, 2010). 1996 წელს შექსპირისა და სხვების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სექსუალობაზე დაწერილი წიგნი „შეზღუდული შესაძლებლობის სექსუალური პოლიტიკა“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც სამედიცინო პერსპექტივის ნაცვლად თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნარატივებს ეყრდნობოდა. ისინი სექსუალობის გამოხატვასთან დაკავშირებულ ისეთ დაბრკოლებებზე გვიყვებოდნენ, როგორებიცაა სქესობრივი განათლების ნაკლებობა, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ცრურწმენები და სხვა (Shakespeare, Gillespie-Sells and Davies, 1996).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს იშვიათად მიუწვდებათ ხელი სქესობრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებზე, რომლებიც სხვა ქალებისთვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

ფიზიკური, სტრუქტურული ბარიერები. ასეთ ბარიერებში შედის, მაგალითად, არაადაპტებული ფიზიკური გარემო და სქესობრივი განათლებისა და სამედიცინო სერვისების არქონა. გარდა ამისა, მათი სქესობრივი ცხოვრება ხშირად გაკონტროლებულია მშობლების, მზრუნველებისა და სოციალური მუშაკების მიერ, განსაკუთრებით იმ ქალების შემთხვევაში, რომლებსაც ინტელექტუალური დარღვევა აქვთ (Priestly, 2003). დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო სერვისების გარეშე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება რთულია. 24-საათიანი მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი ქალების სექსუალობა და სქესობრივი ცხოვრება კი ხშირად მთლიანად სამედიცინო ან აღნიშნული დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული; ბევრ ქვეყანაში, მათი სქესობრივი ცხოვრების კონტროლისათვის სტერილიზაციასაც მიმართავენ.¹ ცხადია, ასეთი ბარიერები მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა შეზღუდული შესაძლებლობის ქალების სექსუალურ ცხოვრებაში.

შექსპირი (1996) აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სექსუალობაზე მსჯელობისას მხოლოდ ფიზიკურ ბარიერებზე საუბრით არ უნდა შემოვიფარგლოთ. მნიშვნელოვანია წინასწარგანწყობებისა და მათთან ასოცირებული დისკრიმინაციის გათვალისწინებაც, რადგან ხშირად სწორედ ეს უკანასკნელია საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დესექსუალიზებაზე პასუხისმგებელი. არსებული სტერეოტიპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, უფრო ხშირად კი ქალებს, პასიურ, სუსტ და არასექსუალურ ინდივიდებად წარმოაჩენს (Kulick and Rydstrom, 2015). ხოლო თუ ისინი სექსუალობის კონტექსტში მოიაზრებიან, მხოლოდ ნეგატიურად, მაგალითად, „შეუსაბამო“ სექსუალური ქცევის გამოხატვის დროს (იქვე). როგორც შექსპირის (1996) და კულიკისა და რიდსტრომის (2015) მიერ შეზღუდული

¹ WHO – World Report on Disability 2012
http://whqlibdoc.who.int/publications/2011/9789240685215_eng.pdf?ua=1



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

შესაძლებლობის მქონე პირებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევები აჩვენებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხშირად ბავშვებზე ექცევიან. მათ ხშირად უსაფუძვლოდ აბრალებენ, თითქოს თავად არ აინტერესებთ სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები. ასეთი წარმოდგენები კი, სხვა ბარიერებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითშეფასებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს (Brown, 1994). სონელი შა (2017) ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ზოგჯერ თავად აღიქვამენ თავს არასექსუალურებად; პოპ-კულტურაშიც კი (ფილმებში, სერიალებსა და ნოველებში) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები იშვიათად არიან წარმოჩენილები, როგორც სექსუალურად მიმზიდველები ან აქტიურები. მსგავსი გზავნილები გავლენას ახდენს როგორც საზოგადოების დამოკიდებულებაზე, ისე თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების თვითაღქმაზე. შილდრიკი ფიქრობს, რომ დარღვევის მქონე სხეული (impaired body) საზოგადოებისთვის მიუღებელია (Shildrick 2009). ასეთი სხეულის არა ფლობა, არამედ მასთან დაკავშირებული მცდარი წარმოდგენები ფსიქო-ემოციურ შედეგებს იწვევს; ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს თავს უსარგებლოდ ან არამიმზიდველად აგრძნობინებენ. მეორე მხრივ, დარღვევის მქონე სხეულიც, როგორც ასეთი, შესაძლოა, თავად იწვევდეს ფსიქო-ემოციურ შედეგებს, მაგალითად, ქრონიკულმა ტკივილმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ზოგიერთი ქალის სქესობრივ გამოცდილებებზე (იხ: Crow 1996, Shakespeare at al, 1996). ასე რომ, სხეული მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობისა (disability) და დარღვევის (impairment) ერთიანობით შეგვიძლია გავიგოთ. დარღვევის მქონე სხეული, ისევე, როგორც ამ სხეულზე გარშემომყოფების წარმოდგენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების თვითშეფასებასა და თვითაღქმაზე, შესაბამისად, მათ სქესობრივ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

ფიზიკური და სტრუქტურული ბარიერების შემცირება, სტერეოტიპების აღმოფხვრა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა შეზღუდული



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PFID PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

შესაძლებლობის მქონე ქალებს მათი სექსუალური პოტენციალის გამოვლენაში დაეხმარება. შექსპირი (2014) ამბობს, რომ სექსუალობა ყველასთვის ინდივიდუალურია; ის ხშირად საჭიროებს ექსპერიმენტებისთვის მზაობას, ეროგენული ზონების ცვლილებაზე დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში, სექსისთვის ასისტენტის ყოლასაც კი. თუმცა, ეს უკანასკნელი არაერთ ეთიკურ დილემასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, როდესაც ასისტენტი აჭარბებს საკუთარ უფლებამოსილებას, ან გარკვეული ქმედებები სხვადასხვანაირად აღიქმება და ა.შ. (Kulick and Rydstrom, 2015).

რატომაა მნიშვნელოვანი აღიარება?

შეზღუდული შესაძლებლობისა და სექსუალობის საკითხი, რასაკვირველია, გაცილებით ღრმა და ფართო დისკუსიას მოიცავს. თუმცა, ვერცერთი მათგანი ჩაივლის 'აღიარების' (recognition) განხილვის გარეშე. ჰონეტი (2003) ამბობს, რომ 'აღიარება' ყველა საჭიროების აღიარებასა და სხვისგან ვალიდაციის მიღებას გულისხმობს. 'აღიარება' ადამიანებს საშუალებას მისცემს, თავი თანასწორ მოქალაქეებად იგრძნონ. სწორედ 'აღიარება' იწვევს მიკუთვნებულობის (belonging) შეგრძნებას, რაც, თავის მხრივ, ინდივიდის თვითშეფასებასა და კეთილდღეობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. სწორედ ასეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობის შემთხვევაშიც. საზოგადოებაში, სადაც ისინი დესექსუალიზებული არიან, მათი სექსუალობა 'აღიარებული' არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებები (მათ შორის, სქესობრივი ცხოვრების უფლება) საერთაშორისო კონვენციებით და ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი კანონმდებლობებითაც მხარდაჭერილია, 'აღიარების' გარეშე, ისინი სტიგმისა და სტერეოტიპებისგან გათავისუფლებას ვერ ახერხებენ. ამიტომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობისა და სქესობრივი ცხოვრების 'აღიარება' მნიშვნელოვანია, რათა მათ საკუთარი უფლებებით ბარიერების გარეშე ისარგებლონ.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PFID PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილებები, აგრეთვე, მათი შესაძლებლობა წარმოაჩინონ სექსუალური აგენტობა და მართონ საკუთარი სექსობრივი ცხოვრება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული; ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია დარღვევასთან (impairment) დაკავშირებული გამოცდილებები, ხოლო, მეორე მხრივ კი, ის, თუ როგორ ხდება ეიბლისტურ კულტურებში (ableist cultures) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სექსუალობის კონსტრუირება. ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებული ბარიერები და დამოუკიდებლად ცხოვრებისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის არარსებობა ქალებს ხშირად აიძულებს, უარი თქვან სექსობრივ ცხოვრებაზე. მეტიც, ამ პრობლემების გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანაბარუფლებიანობას. სტერეოტიპებისა და წინასწარგანწყობებისგან გათავისუფლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ბარიერები. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მათი სექსუალური აგენტობის აღიარება.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EMORY
UNIVERSITY



PFID PARTNERS
FOR INTERNATIONAL
DEVELOPMENT

ბიბლიოგრაფია

Braun V., Clarke V., 2006. Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology* . Vol.3, No.2, pp. 77-101. Available at: <http://eprints.uwe.ac.uk/11735> [Accessed: 6 February, 2021].

Crow L., 1996. Including all of our lives: renewing the social model of disability. In J. Morris ed. *Encounters with Strangers: Feminism and Disability* (Women's Press, London).

Fraser, N., & Honneth, A. (Eds.). (2003). *Redistribution or recognition? A political-philosophical exchange*. London, UK: Verso.

Kulick D., Rydstrom J., 2015. *Loneliness and its opposite: Sex, Disability and the Ethics of Engagement*. Durham and London: Duke University Press.

Morris J., 1999.. *Space for Us: Finding Out What Disabled Children and Young People Think About Their Placements*. London: Borough of Newham.

Priestly M., 2003. *Disability: A Life Course Approach* (Polity Press).

Shah S., 2017. *Disabled People Are Sexual Citizens Too*": Supporting Sexual Identity, Well-being and Safety for Disabled Young People. *Front. Educ.* 2:46.

Shakespeare T., 2014. *Disability Rights and Wrongs Revisited*, 2nd ed., London: Routledge.

Shakespeare T., 1996, *Researching Disabled Sexuality*. In: Barnes C., Mercer G., (eds) *Doing Disability Research*. Leeds: The Disability Press. Pp. 177-189).

Shakespeare, T., Gillespie-Sells K., Davies D., 1996. *The sexual politics of disability*. London: Cassell.

Shakespeare, T., Watson N., 2010. Beyond models: understanding the complexity of disabled people's lives. In: Scambler, G. and Scambler, S. (eds.) *New Directions in the Sociology of Chronic and Disabling Conditions*. Palgrave Macmillan: London, pp. 57-77.



Shakespeare, T., Watson N., 2002. The Social model of disability: an outdated ideology? Research in Social Science and Disability. Vol.2, pp.9-28.

Shildrick M., 2009. Dangerous Discourse of Disability, Subjectivity and Sexuality. New York: Palgrave Macmillan.

Shuttleworth R., 2010. Towards an Inclusive Sexuality and Disability Research Agenda. In Shuttleworth, R. & T. Sanders ed. Disability & Sex; Politics, Identity and Access (The Disability Press).



"ეს პუბლიკაცია შექმნილია USAID-ისა და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს USAID-ისა და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შეხედულებებს."